ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.03.2018

საჩივრის რეგისტრაციის №031/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ფ.-ს მიმართ /სიითი №.../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ფ.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება; ადვოკატისთვის გადახდილი მომსახურების საზღაურის დაბრუნება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 29 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ფ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და ადვოკატისთვის მომსახურების საზღაურის სახით გადახდილი თანხის სრულად დაბრუნება. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 17 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაში მიიღო მონაწილეობა.

1.2 მომჩივანის განმარტებით, სოფ: ...-ის საშუალო სკოლის დირექტორი სკოლაში არსებული დარღვევების გამო, მისი განცხადების საფუძველზე, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა. აღნიშნული ფაქტის გასაპროტესტებლად სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა 2015 წლის 01 ოქტომბერს გამართეს აქცია. მომჩივანის თქმით, ის და მისი ძმა, რომლებიც ამ აქციაზე

იმყოფებოდნენ, დააკავეს ხულიგნობის ბრალდებით. კერძოდ, იმ მოტივით, თითქოს ფიზიკურად გაუსწორდნენ არასრულწლოვნებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოცემულ აქციაზე მან და მისმა ძმამ - გ. შ.-მ, მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიიღეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ის და მისი ძმა სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს ოზურგეთის ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარეს გამოკვლევები და დადგინდა, რომ ჰქონდა ცხვირის ძვლის მოტეხილობა, წელს ქვემოთ პარალიზებული იყო, მის ძმას კი ექსპერტმა კბილების მოტეხილობა დაუდგინა. საჩივრის ავტორის განცხადებით, აქციის მონაწილეებმა დააზიანეს გ. შ.-ის ავტომობილიც.

1.3 ა. შ.-ის განმარტებით, დაკავების მეორე დღეს, მას და მის ძმას პოლიციის იზოლატოროში შეხვდა მისი ძმისშვილის მიერ დაქირავებული ადვოკატი მ. ფ.. ა. შ.-ის განმარტებით, ადვოკატმა მას და მის ძმას განუმარტა, რომ მათ ინტერესებს მაქსიმალურად დაიცავდა, გამოკითხა საქმის დეტალები და მომსახურების სახით შეთანხმდნენ გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში თითოეული ბრალდებულის დაცვაზე - 500 ლარის ფარგლებში. მომსახურების საზღაური - 1000 ლარი ზ. შ.-მ ადვოკატს შეთანხმების დღესვე გადასცა უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

1.4 ა. შ.-ის განმარტებით, ის უკმაყოფილოა ადვოკატ მ. ფ.-ს მიერ გაწეული მომსახურებით იმის გამო, რომ ადვოკატისთვის თავიდანვე გახდა ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში ერთი სრულწლოვანი და რამდენიმე არასრულწლოვანი დაზარალებულის თაობაზე, ადვოკატს არ ჰქონდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირება, ხოლო მან არ აცნობა აღნიშნული კლიენტს მომსახურებაზე შეთანხმებისას. ა. შ.-ის განმარტებით, მან აღნიშნული ინფორმაცია უშუალოდ სასამართლო სხდომაზე შეიტყო, როდესაც მოსამართლემ ადვოკატს შეუზღუდა არასრულწლოვანთა დაკითხვაში მონაწილეობის მიღების უფლება; ამის გამო ადვოკატი მ. ფ. ნაწილობრივ იღებდა სასამართლო პროცესებში მონაწილეობას, თუმცა არ დასწრებია ყველა სასამართლო სხდომას, სადაც დაშვებული იყო მისი მონაწილეობა. ა. შ.-ის განმარტებით, ასევე, ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ადვოკატი ნასვამი გამოცხადდა, თუმცა მხარემ ასევე განმარტა, რომ მოსამართლემ დაუშვა ადვოკატი სხდომაზე და ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში. ა. შ.-ის განმარტებით, სხდომის ოქმის მოსმენით მარტივად დადგენადია, რომ ადვოკატი პროცესზე ნასვამი იმყოფებოდა.

1.5 ა. შ.-ის განმარტებით, იგი ადვოკატისგან კატეგორიულად ითხოვდა 2015 წლის 01 ოქტომბერს სკოლის ეზოში მომხდარ შემთხვევაზე დაზარალებულად ცნობას და საკუთარი ოჯახის წევრების დაკითხვას, რომელნიც აქციაზე იმყოფებოდნენ, რაც ადვოკატმა ვერ უზრუნველყო და მათ განხილულ სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ ბრალდებულების სტატუსი ჰქონდათ.

1.6 ა. შ.-ის განმარტებით, ადვოკატ მ. ფ.-სთან ერთად საქმეში გამოძიების ეტაპიდანვე ჩაერთო ასევე ადვოკატი მ. გ. ადვოკატ მ. ფ.-ს საადვოკატო მომსახურება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებით ამოიწურა, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ადვოკატმა მ. გ.-მ გააგრძელა ა. და მ. შ.-ების დაცვა.

1.7 ა. შ.-ის განმარტებით, ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს მომსახურების საზღაურის სახით მიღებული თანხა სრულად, ვინაიდან ადვოკატის მომსახურების მიმართ არსებული პრეტენზიების გარდა, მის საქმეზე არ დადგა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო მან ადვოკატი ამ შედეგისთვის დაიქირავა.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2018 წლის 16 აპრილს ადვოკატმა მ. ფ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, ხოლო 2018 წლის 21 მაისს - სკაიპის მეშვეობით მიიღო სხდომაში მონაწილეობა.

2.2 ადვოკატი აცხადებს, რომ 2015 წლის 2 ოქტომბერს მასსა და ზ. შ.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ბრალდებულების გ. და ა. შ.-ების დასაცავად შს ორგანოში, პროკურატურასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში. ზ. შ.-მ გადაიხადა მომსახურების შეთანხმებული საზღაური - თითოეული ბრალდებულის დაცვისთვის 500-500 ლარი (ერთობლივად 1000 ლარი). ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდებულების დაკავების ეტაპიდანვე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საქმეში დაზარალებულ პირთა უმრავლესობა იყო არასრულწლოვანი და მას არ ჰქონია უფლებამოსილება მონაწილეობა მიეღო არასრულწლოვანთა მიმართ საგამოძიებო მოქმედებებში. აღნიშნული თავიდანვე ცნობილი იყო საჩივრის ავტორისთვის. ამასთან ადვოკატის განმარტებით, მასთან ერთად საქმეში საწყისი ეტაპიდანვე მონაწილეობას ღებულობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით ლიცენზირებული ადვოკატი მ. გ. და მათი დაცვის ქვეშ მყოფ კლიენტებს დაცვის პროცესში პრობლემა არ შექმნიათ. საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა წელიწადნახევრის განმავლობაში. ადვოკატ მ. ფ.-ს განმარტებით, მას მ. გ.-სთან ერთად აქვს მონაწილეობა მიღებული ყველა საგამოძიებო მოქმედებაში, რაც არ იყო დაკავშირებული უშუალოდ არასრულწლოვანებთან.

2.4 ადვოკატის განმარტებით, გ. და ა. შ.-ები ბრალდებულნი იყვნენ სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით. მ. ფ.-ს განცხადებით, მათი ძალისხმევით შეიცვალა ქმედების კვალიფიკაცია და განაჩენი დადგა სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად ბრალდებულებმა ჯარიმის სახით გადაიხადეს 1000-1000 ლარი. კლიენტები უკმაყოფილოები დარჩნენ ადვოკატის მომსახურებით, რადგან არ დადგა გამამართლებელი განაჩენი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის მონაწილეობდა აღკვეთის ღონისძიების სხდომაში, წინასასამართლო სხდომებზე, არსებითი განხილვის ეტაპზე, დასკვნითი სიტყვის წარმოდგენის ეტაპზე, ყველა იმ სხდომაში, სადაც დაშვებული იყო მისი მონაწილეობა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან ა. და მ. შ.-ებს აცნობა, რომ არ ჰქონია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია, თუმცა საქმეში თავიდანვე ჩაერთო ადვოკატი მ. გ., რომელსაც აღნიშნული სპეციალიზაცია გააჩნდა. ადვოკატის განმარტებით, მან დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ასევე აუხსნა რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა იმას, რომ არ ჰქონდა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ადვოკატის განმარტებით, ის და ადვოკატი მ. გ. შეთანხმებულად მუშაობდნენ და ა. და მ. შ.-ების ინტერესები შეთანხმების ფარგლებში სრულად დაიცვეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი მ. ფ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №.../, სპეციალიზაცია – საერთო. ადვოკატს წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ა. შ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 29 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2015-2018 წლებში. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (2009 წლის რედაქცია) არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ფ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ა. შ.-ის პრეტენზიები ადვოკატ მ. ფ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ აცნობა, რომ არ იყო სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში; ადვოკატი არ დასწრებია ყველა სასამართლო სხდომას, სადაც დაშვებული იყო მისი მონაწილეობა; ადვოკატი ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ნასვამი გამოცხადდა; ადვოკატმა ვერ უზრუნველყო გამამართლებელი განაჩენის დაყენება; ადვოკატმა არ აწარმოა საქმე ა. შ.-ის, როგორც დაზარალებული მხარის საჩივრის საფუძველზე. საჩივრის ავტორის მოთხოვნით, ადვოკატმა სრულად უნდა დაუბრუნოს მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაური.

5.2 საპროცესო კოლეგიამ ა. შ.-ის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა არ აცნობა სპეციალიზაციის არქონა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, შეაფასა შემდეგი ნორმების ფარგლებში:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

5.3 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მოიქცეს წინდახედულად, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი რისკი, გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები, ობიექტურად შეაფასოს თავისი უფლებამოსილებისა და კვალიფიკაციის თანხვედრა კლიენტის ინტერესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება საადვოკატო საქმიანობის გაწევასთან დაკავშირებით. ამასთან, საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს ადვოკატის მიერ მისი უფლებამოსილების (სპეციალიზაციის) თაობაზე კლიენტის ინფორმირებასაც, იმ სამართლებრივი შედეგების განმარტებას, რაც დაკავშირებული იქნება შეთანხმებულ საქმეზე კონკრეტული სპეციალიზაციის არქონასთან. აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატმა კლიენტს შეთანხმების ეტაპზე უნდა მიაწოდოს, იმისათვის რომ კლიენტმა გადაწყვიტოს რამდენად მისაღებია მისთვის არასპეციალიზირებული ადვოკატის იურიდიული მომსახურება.

5.4 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე 052/13 განმარტა, რომ „ადვოკატს ევალებოდა საკუთარი სტატუსის შესახებ ინფორმაციის ფლობა, გადამოწმება, ამის თაობაზე კლიენტის დროული ინფორმირება. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთარი ინტერესების დასაცავად და თავიდან აირიდოს ადვოკატის გარეშე საქმისწარმოების რისკი.“

5.5 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი.“ ამავე კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „... სრულწლოვანი პირის პროცესში მონაწილე არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის მიმართ საპროცესო მოქმედებებს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები. თუ არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, ხოლო არასპეციალიზებული პირი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესს.“

5.6 საპროცესო კოლეგია აფასებს რა ა. შ.-ის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა მ. ფ.-მ შეთანხმების დროს არ განუმარტა მას, რომ არ ჰქონია სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, აღნიშნავს, რომ მოცემული ფაქტი სადავოა მხარეთა შორის. ადვოკატ მ. ფ.-ს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გაკეთებული განცხადებით, მან თავიდანვე აცნობა, როგორც ხელმშემკვრელ მხარეს - ზ. შ.-ს, ასევე დაცვის ქვეშ მყოფებს, რომ მას არ ჰქონია სპეციალიზაცია, ხოლო საქმეში სრულწლოვანი დაზარალებულის გარდა იყვნენ არასრულწლოვანი დაზარალებულებიც. მხარეთა ახსნა-განმარტებით დგინდება, რომ იმავე დღეს ჩაერთო საქმეში მეორე ადვოკატი მ. გ., რომელიც სპეციალიზირებული იყო და ორი ადვოკატი იცავდა ა. და მ. შ.-ებს გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში. კოლეგია აღნიშნავს, რომ ინფორმირების

ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე აღნიშნული ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი ადვოკატს, ამ შემთხვევაში მ. ფ.-ს აკისრია. ადვოკატი განმარტავს, რომ ზეპირსიტყვიერად მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია მისი კვალიფიკაციის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში საუბარს, როგორც ადვოკატი განმარტავს, ის და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები ესწრებოდნენ. ამასთან, მხარეთა შორის გაფორმებული სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზაცია ჰქონდა მეორე ადვოკატს - მ. გ.-ს, რომელიც მ. ფ.-სთან ერთად იცავდა საჩივრის ავტორისა და მისი ძმის ინტერესებს. კოლეგიამ იხელმძღვანელა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით და მიაჩნია, რომ საქმის სრული გარემოებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების ანალიზით, იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 02 ოქტომბერს ორ სხვადასხვა ადვოკატთან გაფორმდა ხელშეკრულება, ხელშეკრულების საგანი ერთი და იგივე იყო - ა. და გ. შ.-ების დაცვა ხულიგნობის ბრალდების საქმეზე - მ. ფ.-სთან ერთად მისი კოლეგის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული ადვოკატის, მ. გ.-ის, ჩართვა, კოლეგასთან ერთად ადვოკატ მ. ფ.-ს კოორდინირებულად მუშაობა საქმეში, სადაც არასრულწლოვანთა გარდა, ერთი დაზარალებული სრულწლოვანი იყო, ქმნის კოლეგიისთვის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ კლიენტისთვის ცნობილი და მისაღები იყო ადვოკატ მ. ფ.-ს მომსახურება იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რაც ადვოკატს გააჩნდა. კომისიის შეფასებით, არ დგინდება ადვოკატ მ. ფ.-ს მიერ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და კვალიფიციური მომსახურების ვალდებულების დარღვევა.

5.7 კლიენტის პრეტენზიებზე ადვოკატის არამართებული მომსახურების თაობაზე, რაც გამოიხატა სასამართლო სხდომების გაცდენაში, სასამართლო სხდომაზე ნასვამი გამოცხადებაში, იმაში, რომ ადვოკატმა ვერ შეძლო გამამართლებელი განაჩენის დაყენება, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კვალიფიციური მომსახურება გულისხმობს შეთანხმების ფარგლებში კლიენტის ინტერესების დასაცავად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულებას. ამავე დროს, ეთიკის კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება თავისი არსით კვალიფიციური მომსახურების გაწევასა და კლიენტის ინტერესების სათანადოდ დაცვას გულისხმობს, ადვოკატი მომსახურების საზღაურს იღებს გაწეული იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე, რამდენად დასრულდება საქმე მისთვის სასურველი შედეგით.

5.8 ეთიკის კომისია ასევე განმარტავს, რომ კომისიის კომპეტენცია ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების შეფასებისას შეზღუდულია და კომისია არ არის უფლებამოსილი სამართლებრივად არსებითად შეაფასოს ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებები და ტაქტიკა, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი (იხ. ეთიკის კომისიის 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №026/10) ადვოკატის ეთიკურობის შეფასებისას კომისიისთვის ამოსავალი წერტილია ადვოკატი კლიენტს კეთილსინდისიერ მომსახურებას სთავაზობდეს და მისი საუკეთესო ინტერესის დაცვაზე იყოს ორიენტირებული.

5.9 საჩივრის ავტორის განმარტებითა და თავად მის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ მისი და მისი ძმის სისხლის სამართლის საქმეზე დაცვას ახორციელებდა ადვოკატი მ. ფ., როგორც გამოძიების, ასევე ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. განაჩენის გამოტანისას ბრალი გადაკვალიფიცირდა და საჩივრის ავტორსა და მის ძმას მსჯავრი დაედოთ სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრათ 1000–1000 ლარი ჯარიმა. საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატი მ. ფ. მოქმედებდა კეთილსინდისიერად და კლიენტების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ა. შ. საქმის მიმდინარეობის ყველა ეტაპის თაობაზე ადვოკატის მხრიდან ინფორმირებული იყო; გარდა ამისა, ის ესწრებოდა სასამართლო სხდომებს და მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში. ა. შ.-მ 2018 წლის 17 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე აღნიშნა, რომ ადვოკატი უწევდა სამართლებრივ კონსულტაციას და მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით. საჩივრის ავტორის პრეტენზიის შესახებ, რაც ეხება იმას, რომ ადვოკატი არ დასწრებია ყველა სასამართლოს სხდომას, რომელიც სრულწლოვანი დაზარალებულის ნაწილში ჩატარდა არ დგინდება საქმეში წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმებით. ადვოკატის განმარტებით, ის ყველა იმ პროცესს დაესწრო, რომელშიც დაშვებული იყო მისი მონაწილეობა. რაც შეეხება ადვოკატის ნასვამ მდგომარეობაში სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას კოლეგია აღნიშნავს, რომ „სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე.“ (იხ. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 85.1) სხდომის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას პროცესის მონაწილის მიერ სხდომის წესრიგის დარღვევის თაობაზე, რასაც ადვოკატ მ. ფ.-ს მიმართ ადგილი არ ჰქონია. თავად ა. შ.-მ განმარტა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ადვოკატი სასამართლომ პროცესზე დაუშვა, ის ბოლომდე იღებდა მონაწილეობას სხდომაში. კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, სასამართლოს სხდომის ოქმით არ დგინდება სასამართლოს მხრიდან ადვოკატის მიერ წესრიგის დარღვევა (ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადება) და სასამართლოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება, ხოლო სხდომის ოქმის მოსმენით კოლეგია ვერ შეფასებს ადვოკატი რამდენად იმყოფებოდა ალკოჰოლური თრობის ქვეშ.

5.10 ა. შ.-ის პრეტენზიაზე თუ რატომ ჰქონდათ მათ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ ბრალდებულის სტატუსი და არ აღიძრა დევნა მათი საჩივრის საფუძველზე, კოლეგია განმარტავს, რომ 2015 წლის 02 ოქტომბრის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატ მ. ფ.-ს ვალდებულება ჰქონდა აღებული მხოლოდ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, ა. და მ. შ.-ების მიერ ხულიგნობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე დაეცვა ბრალდებულების ინტერესები. შესაბამისად, ამ ნაწილში ა. შ.-ის პრეტენზია საფუძველს მოკლებულია.

5.11 ეთიკის კომისიამ ასევე შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია, ადვოკატის მიერ მისთვის გარანტიის მიცემის თაობაზე, კერძოდ, როგორც ა. შ.-მ აღნიშნა, ადვოკატი კონკრეტულ ვადაში გამამართლებელი განაჩენის დაყენებას დაჰპირდა. ადვოკატი არ დაეთანხმა საჩივრის ავტორის აღნიშნულ განმარტებას. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით - გარანტიის მიცემის ფაქტის დადასტურების მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, რომელმაც დისციპლინური საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ხოლო დისციპლინური საქმისწარმოების საქმის განხილვის ეტაპზე - სარწმუნო მტკიცების სტანდარტით

უნდა დაადასტუროს ადვოკატის მიერ მისთვის გარანტიის მიცემის ფაქტი და მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მხარეთა ურთიერთწინააღმდეგობრივი ახსნა-განმარტებების გარდა წარმოდგენილი არ ყოფილა სხვა მტკიცებულება, რომლითაც საჩივრის ავტორი შეძლებდა მითითებული პრეტენზიის დასაბუთებას. შესაბამისად, არ დგინდება ადვოკატ მ. ფ.-ს მიერ კლიენტისთვის გარანტიის მიცემის აკრძალვის ვალდებულების დარღვევა.

5.12 საჩივრის ავტორის მოთხოვნაზე, ადვოკატმა დაუბრუნოს მას მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაური, კომისია განმარტავს, რომ თანხის დაბრუნების თაობაზე ადვოკატის ეთიკური ვალდებულების დარღვევაზე მსჯელობა ეთიკის კომისიის უფლებამოსილებაში შედის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 ნაწილიდან გამომდინარე, მხოლოდ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, როდესაც ადვოკატს დასრულებული არ აქვს მომსახურება და წარმოეშობა ეთიკური ვალდებულებები გადაცემული „გამოუმუშავებელი“ ფულადი სახსრების კლიენტისთვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ დროს, ეთიკის კომისიამ შესაძლოა დაადგინოს ადვოკატის მიერ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ფაქტი და განახორციელოს ადვოკატის დისციპლინირება. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატმა დაასრულა კლიენტის მომსახურება, ხოლო კლიენტი ეთიკის კომისიაში მომსახურების ხარისხიდან ან დამდგარი შედეგიდან გამომდინარე აყენებს ადვოკატის მიერ მომსახურებისთვის მიღებული საზღაურის მისთვის დაბრუნების მოთხოვნას, აღნიშნული სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას და წარმოადგენს სასამართლოს წესით განსახილველ საკითხს. ამასთან, საქმის კლიენტისთვის სასურველი შედეგით დაუსრულებლობა არ წარმოშობს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას დაუბრუნოს მას შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ მიღებული თანხა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ.“ (იხ. 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N037/14). ამასთან, თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში, განემარტოს საჩივრის ავტორს, რომ მიმართოს სასამართლოს, რადგან აღნიშნული საკითხის განხილვა - ადვოკატისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

5.13 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი მ. ფ. ა. და გ. შ.-ების დაცვას ახორციელებდა ზ. შ.-სა და ადვოკატს შორის 2015 წლის 02 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმად ადვოკატს უნდა დაეცვა დაკავებულები ოზურგეთის შს სამმართველოში, პროკურატურასა და სასამართლოში. ადვოკატმა ანაზღაურების სახით მიიღო 1000 ლარი. თავად საჩივრის ავტორმა განმარტა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, რომ ადვოკატმა მოცემულ ორგანოებში განახორციელა მისი და მისი ძმის დაცვა, თუმცა თანხის დაბრუნების მოთხოვნის საფუძვლად ორი გარემოება გამოკვეთა: ის უკმაყოფილოა მომსახურების ხარისხით და მომსახურების შედეგით, განაჩენის სახით დაეკისრა ჯარიმის გადახდა და არ დადგა გამამართლებელი განაჩენი. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა მ. ფ.-მ მომსახურების საზღაური აიღო შესასრულებლი საპროცესო მოქმედებების სანაცვლოდ. იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 02 ოქტომბრის ხელშეკრულების საგნიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან გამომდინარე ა. შ.-სა და ადვოკატ მ. ფ.-ს შორის ურთიერთობა დასრულდა პირველი ინსტანციის წესით საქმეზე განაჩენის დადგომით და

არა შეთანხმებაზე ადრე ურთიერთობის შეწყვეტით, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს ადვოკატისთვის გადაცემული საზღაურის კლიენტისთვის დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N031/18 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ფ.-ს /სიითი №.../ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/